

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2022 წლის იანვარ-მარტის მდგომარეობით

2022 წლის იანვარ-მარტში, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 37.9%-ით გაიზარდა და 3 865.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის 43.3% ზრდა დაფიქსირდა და 1 171.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 35.7%-ით გაიზარდა და 2 693.2 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.


საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვარ-მარტში, 1 521.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.4%.

ადგილობრივი ექსპორტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 46.6 %-ით გაიზარდა, 885.4 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა და მთლიანი ექსპორტის 75.6% შეადგენს.

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით

2022 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.4% შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (562.4 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (461.9 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (383.3 მლნ. აშშ დოლარი).


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2022 წლის იანვარ-მარტი ბრუნვის მიხედვით



საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტ - იმპორტის მიხედვით


2022 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.2% შეადგინა. საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (220.0 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (125.4 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (109.8 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2022 წლის იანვარ-მარტი ექსპორტის მიხედვით



2022 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 65.1 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (463.2 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (273.5 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (241.9 მლნ. აშშ დოლარი).


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2022 წლის იანვარ-მარტის იმპორტის მიხედვით



საქართველოს 10 ძირითადი პროდუქცია ექსპორტ - იმპორტის მიხედვით


2022 წლის იანვარ-მარტში სასაქონლო ჯგუფებიდან **საექსპორტო ათეულში** პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 271.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი ექსპორტის 23.1%-ს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ფეროშენადნობები 160.1 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 13.7%), ხოლო მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 94.9 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 8.1%).

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2022 წლის იანვარ-მარტში წარმოდგენილი იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტების სახით, რომლის იმპორტმა 244.5 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9.1% შეადგინა. მეორე ადგილს სპილენძის მადნები და კონცენტრატები იკავებდა 222.5 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.3%), ხოლო მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 211.1 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.8%).

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში



საქართველოს ექსპორტი

2022 წლის იანვარ-მარტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 4.5%-ით გაიზარდა და 230.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი 57.6% გაიზარდა და 941.4 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ძირითადი პოზიციები საქართველოს ექსპორტში:

ღვინო - 45.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11% და 4.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 56% (ზრდა 7%), პოლონეთი 9% (ზრდა 57%), უკრაინა 6% (კლება 36%), ჩინეთი 6% (ზრდა 16%), ყაზახეთი 4% (ზრდა 31%).

მინერალური წყალი - 32.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11% და 3.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 44% (ზრდა 2%), უკრაინა 14% (კლება 31%), ყაზახეთი 21% (ზრდა 13-ჯერ), ლიეტუვა 7% (კლება 41%), ბელარუსი 5% (ზრდა 21%).

ციტრუსი - 7.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 20% და 1.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი 51% (ზრდა 97%), რუსეთი 40% (კლება 21%), გერმანია 7% (ზრდა 12-ჯერ).

უალკოჰოლო გაზიანი სასმელები - 11.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 21% და 2.0 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 36% (ზრდა 7%), აზერბაიჯანი 22% (ზრდა 107%), ისრაელი 12% (ზრდა 13%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 6.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 38% და 1.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ერაყი 61% (ზრდა 37%), აზერბაიჯანი 24% (კლება 12%).

კარტოფილი - 2.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 275% და 1.7 მლნ აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი 55% (ზრდა 374%), აზერბაიჯანი 41% (ზრდა 395%).

ცოცხალი ცხვარი - 2.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 295% და 0.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ეგვიპტე 44% და იორდანია 41% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ამ ქვეყნებში ექსპორტი არ განხორციელებულა), ხოლო მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა საუდის არაბეთსა (2021/3 – 1.7 მლნ აშშ დოლარი) და ქუვეითში 2021/3 – 0.5 მლნ აშშ დოლარი).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 271.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 71% და 112.5 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრებია: ჩინეთი 65.8% (ზრდა 112%), ბულგარეთი 33.5% (ზრდა 59%) და სამხრეთ კორეა 0.7% (ზრდა 527%).

ფეროშენადნობი -160.1მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 91% და 76.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აშშ 47% (ზრდა 188%), რუსეთი 21% (ზრდა 7%), უკრაინა 5% (წინა წელს ექსპორტის უმნიშვნელო რაოდენობით განხორციელდა), თურქეთი 13% (ზრდა 77%)

მსუბუქი ავტომობილები - 94.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 10% და 8.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 54% (ზრდა 6%), ყაზახეთი 10% (ზრდა 6.3-ჯერ). უკრაინა 8% (კლება 65%).

აზოტოვანი სასუქები - 76.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 167% და 47.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პერუ 24% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), უკრაინა 17% (ზრდა 142%), რუმინეთი 19% (147%), ინდოეთი 16% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

სამკურნალო საშუალებები - 28.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 49% და 9.3მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი 62% (ზრდა 106%), აზერბაიჯანი 18% (ზრდა 46%), რუსეთი 5% (ზრდა 111%).

ოქრო დაუმუშავებელი - 21.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 48% და 6.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: შვეიცარია 87% (ზრდა 43%), გერმანია 12% (ზრდა 244%).

ძვირფასი ლითონის მადნები და კონცენტრატები - 22.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 75% და 9.5 მლნ. აშშ დოლარი). ექსპორტი სრული მოცულობით განხორციელდა ჩინეთში.

მაისურები და კვარტები ტრიკოტაჟი - 20.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 35% და 45.4 მლნ. აშშ დოლარი). ექსპორტის 98% გავიდა თურქეთში (ზრდა 33%).

სპირტიანი სასმელები - 23 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 23% და 6.8 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 29% (კლება 38%), რუსეთი 21% (კლება 27%), საფრანგეთი 13% (კლება 19%), ბელარუსი 7% (ზრდა 29%).

თხილი - 13.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 19% და 3.0 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 30% (ზრდა 87%), გერმანია 27% (კლება 16%), ესპანეთი 7% (ზრდა 76%), საფრანგეთი 6% (კლება 6%), რუსეთი 4% (კლება 60%).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - 2.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 16% და 0.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 22% (კლება 40%), ბულგარეთი 9% (ზრდა 167%), საფრანგეთი 12% (ზრდა 168%), ყაზახეთი 7% (ზრდა 0.1%).

საქართველოს იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 26% გაიზარდა და 327.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 37% გაიზარდა და 2365.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ძირითადი პოზიციები საქართველოს იმპორტში:

ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები გაყინული - 16.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 62% და 6.4 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 25% (ზრდა 41%), ბრაზილია 24% (ზრდა 280%), ჩინეთი 14% (ზრდა 218%), გერმანია 8% (ზრდა 94%).

ღორის ხორცი გაყინული -10.7მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 46% და 3.3 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 69% (ზრდა 156%), კანადა 17% (იმპორტის ზრდა 22%).

ხორბლის ფქვილი - 10.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11-ჯერ და 79.4 მლნ. აშშ დოლარით). იმპორტის 98% განხორციელდა რუსეთიდან.

თევზი გაყინული - 7.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 50% და 2.4 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: ისლანდია 23% (ზრდა 92%), აშშ 17% (ზრდა 36%), დანია 10% (ზრდა 24%).

ნაღების კარაქი - 8.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 52% და 2.8 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: ურუგვაი 28% (ზრდა 236%), საფრანგეთი 20% (ზრდა 43%), პარაგვაი 14% (ზრდა 509%), უკრაინა 5% (კლება 69%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 244.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 72% და 102 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: რუმინეთი 24% (ზრდა 110%), ბულგარეთი 20% (ზრდა 235%), თურქმენეთი 16% (ზრდა 21%), აზერბაიჯანი 14% (ზრდა 64%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 222.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 53% და 76.7 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: ჩილე 24% (ზრდა 202%), ბრაზილია 19% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა), სომხეთი 31% (კლება 32%), ინდონეზია 8% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა)

მსუბუქი ავტომობილები - 211.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 7% და 14 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 52% (კლება 15%), იაპონია 20% (ზრდა 67%), გერმანია 11% (ზრდა 48%), თურქეთი 7% (ზრდა 4.5-ჯერ).

ნავთობის აირები - 184.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 42% და 54.3 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 81% (ზრდა 94%), რუსეთი 19% (კლება 33%).

მედიკამენტები - 85.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 20% და 14 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 16% (ზრდა 42%), გერმანია 11% (იმპორტის კლება 22%), საფრანგეთი 8% (ზრდა 6%), უნგრეთი 7% (ზრდა 19%), უკრაინა 5% (ზრდა 95%).

სატელეფონო აპარატები - 63.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 61% და 24 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: ა.გ ემირატები 30% (ზრდა 77%), ჰონგ-კონგი 23% (იმპორტის ზრდა 130%), ჩეხეთი 14% (ზრდა 58%), რუსეთი 12% (კლება 24%).

მანგანუმის მადნები - 14.8მლნ. აშშ დოლარი (იმპორტი წინა წელს განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით). იმპორტიორი ქვეყნებია გაბონი 98% და სამხრეთ აფრიკა 2%.

არმატურა - 23.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 105% და 12 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 45% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), აზერბაიჯანი 40% (იმპორტის ზრდა 108%), უკრაინა 8% (კლება 44%), ირანი 7% (ზრდა 49%).

ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადის - 17.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 287% და 13.1 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: სინგაპური 36% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა), უკრაინა 23% (იმპორტის ზრდა 6-ჯერ), რუსეთი 21% (ზრდა 36%).

ელექტროენერჯია - 29.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 6% და 1.7 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 36% (ზრდა 75%), სომხეთი 34% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა), აზერბაიჯანი 30% (კლება 57%).

ხორბალი - 10.6მლნ. აშშ დოლარი (კლება 50% და 10.6 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 84% (კლება 46%), ყაზახეთი 10% (ზრდა 80%), სომხეთი 6% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა), ამასთან, აშშ მიმდინარე წელს იმპორტი არ განხორციელებულა (2021/3 - 4.1 მლნ. აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა).

მცენარეული ზეთი - 3.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 63% და 6.4 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 66% (კლება 71%), აზერბაიჯანი 22% (ზრდა 4%), უკრაინა 11% (კლება 23%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი გაყინული -2.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 19% და 0.6 მლნ. აშშ დოლარი). იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 25% (კლება 17%), ლიეტუვა 43% (იმპორტის ზრდა 51%), უკრაინა 19% (კლება 61%).

საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 33%, მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 20% დაიკავა (2021/3-21%) და 805.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

- **ექსპორტი** გაიზარდა 33%-ით და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 18% დაიკავა (2021/3-19%) და 208.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის **ადგილობრივი ექსპორტი ევროკავშირში** 29% გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 89% და 182.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.
- **იმპორტი ევროკავშირიდან** გაიზარდა 34%, იმპორტის 22% დაიკავა (2021/3-22%) და 596.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი ევროკავშირში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირში 5%-ით და 1.8 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 39.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი 42%-ით და 50.2 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 168.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ძირითადი საექსპორტო პოზიციები ევროკავშირში:

- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 90.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 25% და 18.1 მლნ. აშშ დოლარით)
- აზოტოვანი სასუქები - 14.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 42% და 4.2 მლნ. აშშ დოლარი)
- თხილი - 15.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3% და 0.4 მლნ აშშ დოლარით)
- ფეროშენადნობი - 14.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 5-ჯერ და 11.8 მლნ. აშშ დოლარით)
- მსუბუქი ავტომობილები - 10.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 2-ჯერ და 7.5 მლნ. აშშ დოლარით)
- ღვინო - 8.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 56% და 3.0 მლნ. აშშ დოლარით)
- სპირტიანი სასმელები - 5.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5% და 0.3 მლნ. აშშ დოლარით)
- ძვირფასი ლითონის ნარჩენები - 3.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 44% და 2.9 მლნ. აშშ დოლარი)
- აირის ტურბინები - 2.3 მლნ. აშშ დოლარი (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა)
- მინერალური წყალი - 2.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 40% და 1.6 მლნ. აშშ დოლარი)
- ტანსაცმლის მზა ნაწარმი - 5.6 მლნ. აშშ დოლარი (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა)
- ელექტრული წყალგამახურებლები - 1.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 44% და 0.5 მლნ. აშშ დოლარი).

იმპორტი ევროკავშირიდან

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 27% (15.8 მლნ. აშშ დოლარი) გაიზარდა და 75.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის იმპორტი 30% (104.4 მლნ. აშშ დოლარი) გაიზარდა და 453.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან ძირითადი საიმპორტო პოზიციები:

- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 55.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 118% და 29.9 მლნ. აშშ დოლარი)
- სამკურნალო საშუალებები - 48.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 1% და 4.7 მლნ. აშშ დოლარი)
- მსუბუქი ავტომობილები - 32.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 24% და 6.4 მლნ. აშშ დოლარი)
- სატელეფონო აპარატები - 14.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 86% და 6.7 მლნ. აშშ დოლარი)
- სატვირთო ავტომობილები - 11.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 48% და 11.1 მლნ. აშშ დოლარი)
- სამედიცინო ხელსაწყოები - 9.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 118% და 5.2 მლნ. აშშ დოლარი)
- რძის პროდუქტი (რძე, ყველი, კარაქი) - 4.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19% და 0.8 მლნ. აშშ დოლარი)

- ფრინველის ხორცი გაყინული - 4.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 22% და 0.7 მლნ. აშშ დოლარი)
- შაქარი - 4.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 18% და 0.6 მლნ. აშშ დოლარი)
- თევზი გაყინული - 1.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 17% და 0.3 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

დსთ-თან საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 21%-ით, საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 31% დაიკავა (2021/3-35%) და 1 184.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

- ექსპორტი გაიზარდა 20%-ით, მთლიანი ექსპორტის 37% დაიკავა (2021/3-45%) და 435.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის ადგილობრივი ექსპორტი გაიზარდა 9%-ით, მთლიანი ექსპორტის 49% და 211.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.
- იმპორტი გაიზარდა 23%-ით, იმპორტის 28% დაიკავა (2021/3-31%) და 748.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 8% (11.0 მლნ. აშშ დოლარი) გაიზარდა და 155.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი 28% (60.5 მლნ. აშშ) გაიზარდა და 280.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ძირითადი საექსპორტო პოზიციები დსთ-ში:

- მსუბუქი ავტომობილები - 80.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 0.4% და 0.3 მლნ. აშშ დოლარით)
- ფეროშენადნობი - 45.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 38% და 12.5 მლნ. აშშ დოლარით)
- ღვინო - 30.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 1% და 0.3 მლნ. აშშ დოლარით)
- მინერალური წყალი - 29.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 22% და 5.4 მლნ. აშშ დოლარით)
- სამკურნალო საშუალებები - 27.4 მლნ. აშშ დოლარი, (ზრდა 64% და 10.7 მლნ. აშშ დოლარით)
- აზოტოვანი სასუქები - 17.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 97% და 8.4 მლნ. აშშ დოლარით)
- სპირტიანი სასმელები - 15.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 23% და 4.7 მლნ. აშშ დოლარით)
- უალკოჰოლო გაზიანი სასმელები - 9.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23% და 1.8 მლნ. აშშ დოლარით)
- ციტრუსი - 6.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12% და 0.7 მლნ. აშშ დოლარი)
- თხილი - 2.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 61% და 4.4 მლნ. აშშ დოლარი).

იმპორტი დსთ-ს ქვეყნებიდან

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 18% (21.2 მლნ. აშშ დოლარი) გაიზარდა და 136.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის იმპორტი 23% (116.6 მლნ. აშშ) გაიზარდა და 613.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

დსთ-ს ქვეყნებიდან ძირითადი საიმპორტო პოზიციები:

- ნავთობის აირები - 184.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 42% და 52.3 მლნ. აშშ დოლარი)
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 118.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 43% და 35.7 მლნ. აშშ დოლარი)
- ელექტროენერჯია - 30.0 მლნ. აშშ დოლარი 10% და 1.0 მლნ. აშშ დოლარი)
- ხორბალი - 10.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 38% და 6.5 მლნ. აშშ დოლარი)
- მარგარინი - 11.7 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 3-ჯერ და 8.9 მლნ. აშშ დოლარი)
- ფქვილი - 10.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11-ჯერ და 9.3 მლნ. აშშ დოლარი)
- შოკოლადის ნაწარმი - 8.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10% და 0.7 მლნ. აშშ დოლარი)
- მცენარეული ზეთი - 3.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 63% და 6.3 მლნ. აშშ დოლარი)
- ეთილის სპირტი - 3.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 16% და 0.6 მლნ. აშშ დოლარი)
- შესქელებული რძე - 2.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12% და 0.3 მლნ. აშშ დოლარი).